გორის მუნიციპალიტეტის

საკრებულო

დადგენილება № 30

2022 წლის 9 სექტემბერი

ქ.გორი

„გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს:**

მუხლი 1.

„გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების და ადმინისტრირების წესის განსაზღვრის შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №54 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 26/12/2017 210020010.35.148.016440) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. 1 $მ^3$ ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირების მომსახურების ღირებულება იურიდიული პირებისთვის/ორგანიზაციებისთვის/დაწესებულებებისთვის განისაზღვროს 15.34 (თხუთმეტი ლარი და ოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის ოდენობით.“

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 შეიცვალოს ახალი დანართი №2-ით.

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ის მე-16 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

16.	აგრარული ბაზრები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის ერთი კვ.მ	0.3	0.15

„

დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №3-ს დაემატოს 32-ე-35-ე გრაფები შემდეგი რედაქციით:

”

32	ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებარე პროექტი	განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის 1 კვ.მ	0.078	0.00	0.10
33	მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი მრავალფუნქციური მშენებარე ობიექტი	განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის 1 კვ.მ	0.160	0.00	0.20
34	სრულიად კომერციული გამოყენების მშენებარე ობიექტი	განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2)საანგარიშო ფართობის 1 კვ.მ	0.310	0.00	0.40
35	საწარმოო ან სამრეწველო გამოყენების, ასევე სხვა ფუნქციური დანიშნულების (გარდა ამ ცხრილის 32-34 გრაფით გათვალისწინებული ობიექტისა) მშენებარე ობიექტი	განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) საანგარიშო ფართობის 1 კვ.მ	0.160	0.00	0.20

”

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმა

<table>
<tr><td colspan="3">გორის მუნიციპალიტეტის მერია
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის
დასუფთავებისთვის</td></tr>
<tr><td>სახაზინო კოდი:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>ქვითარი:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>აბონენტის ნომერი:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="3">აბონენტის სახელი/სახელწოდება:</td></tr>
<tr><td>საიდენტიფიკაციო:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>მისამართი:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td colspan="2">იურიდიული პირი</td><td>ტარიფი:</td></tr>
<tr><td>რაოდენობა:</td><td></td><td></td></tr>
<tr><td>თარიღი:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>გადასახდელი:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>დარიცხვა:</td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>სულ გადასახდელი:</td><td colspan="2"></td></tr>
</table>